

ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულის

განკარგულება №

2024 წლის ----- მარტი; ქალქი ბათუმი

**ევროკავშირის „Interreg NEXT Black Sea Basin“
პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღებაზე თანხმობის
გაცემის შესახებ**

საქართველოს ორგანულ კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლს მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლს მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლს მე-5 და მე-7 პუნქტების, „მუნიციპალტეტებისთვის გრანტის მიღებაზე ნებართვის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 სექტემბრის N1990 განკარგულებისა და ამავე განკარგულებაში ცვლილებების შესატანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2674 განკარგულების საფუძველზე, ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მერს მიეცეს თანხმობა ევროკავშირის „Interreg NEXT Black Sea Basin“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში 119 073,02 (ას ცხრამეტი ათას სამოცდაცამეტი ევრო და 02 ცენტი) ევრო მოზოვებულ გრანტის მიღებასა და შესაბამისი შეთანხმებების გაფორმებაზე.
2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილს ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილ წესით გაცნობიდან ერთ თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მერი.
3. განკარგულება ძალშია ხელმოწერისთანავე.

**საკრებულის თავმჯდომარე
რამაზ ჯინჭარაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათური

„ევროკავშირის „Interreg NEXT Black Sea Basin“ პროგრამის ფარგლებში გრანტის მიღებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ბათუმის მუნიციპალტეტმა გაიმარჯვა ევროკავშირის „Interreg NEXT Black Sea Basin“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში. საკონკურსო განაცხადი წარდგინდა იყო უზუნკოზრუს მუნიციპალტეტთან (თურქეთის რესპუბლიკა), სტამბულს უნივერსიტეტთან და სხვა თანა აპლიკანტებთან ერთად, წამყვანი აპლიკანტია (პარტნიორი) უზუნკოზრუს მუნიციპალტეტი.

შემდგომი ეტაპია საგრანტო შეთანხმების და საპარტნიორო შეთანხმების გაფორმება „Interreg NEXT Black Sea Basin“ პროგრამის ადმინისტრაციასა და წამყვან პარტნიორს შორის, ასევე, საპარტნიორო შეთანხმება პარტნიორებს შორის. გრანტით განხორციელდება აქტივობები პროგრამის სპეციფიკური მიზნის: RSO2.4 ფარგლებში, რაც ეხება კლიმატის ცვლილების ადაპტაციისა და კატასტროფების რისკის პრევენციის ხელშეწყობას და მფრადობას ეკოსისტემაზე დაფუძნებულ მიდგომების გათვალისწინებით. ბათუმის შემთხვევაში, დაგეგმილია საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით ჩატარდეს კვლევა - ქალაქის ტერიტორიაზე სათური აირების გაფრქვევების კერების და მათ გავლენების გაზომვა, მოხდეს ამ პროცესის დეკონტროლირება, მომზადდეს შესაბამისი (დეგიტალური) რუკა და ანგარიში კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია-შერბილების ღონისძიებების შესახებ რეკომენდაციებით. ბათუმის კომპონენტზე სულ გათვალისწინებულია 132303,36 ევრო, საიდანაც 90% უნდა დაფინანსდეს საგრანტო ფონდით, ხოლო - 10% მუნიციპალტეტის ბიუჯეტით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის ძირითადი არსია ევროკავშირის „Interreg NEXT Black Sea Basin“ პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მოპოვებულ გრანტის მიღება, პროგრამით გათვალისწინებულ კვლევების ჩატარების მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტი ითვალისწინებს მუნიციპალტეტის შემოსავლების ზრდას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

დადებით გავლენას მოახდენს მუნიციპალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, საგრანტო თანხების შემოსავლას სახით, პროექტი მუნიციპალტეტის ბიუჯეტიდან ითვალისწინებს დაახლოებით 13 000 ევრომდე ხარჯს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიულ ძალს მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანულ კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებულ კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:

ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მერიის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მერია.

ქალქ ბათუმის მუნიციპალტეტის მერიის, მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის უფროსი – რუსუდნ ჟოჟაძე.